საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონული არქივის არსებული შენობის კაპიტალური სამუშაოებისა და ახალი საარქივე შენობის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით

კომისიის სხდომის

ოქმი № 02

ქ. თბილისი „30" „სექტემბერი" 2014 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

თ. იაშვილი ი. ჩიბიროვი გ. ასკურავა ი. ჭანტურიძე (არ ესწრებოდა) ი. ლომიძე

საკონკურსო აპარატის კომისიის წევრი: ე. ხარაიშვილი, გ.შაშვიაშვილი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონული არქივის არსებული შენობის კაპიტალური სამუშაოებისა და ახალი საარქივე შენობის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის კონკურსში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა.
2. საკონკურსო კომისიის წევრებისა და აპარატის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებისა და წესების გაცნობა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ს. ლონდარიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსზე წინადადება წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა შპს ,,საქპროექტარქიტექტურა"-მ და შპს ,,NEWARCHSTUDIO"-მ.

განიხილეს:

კომისიის წევრებმა შეამოწმეს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალება, რის შემდეგ გაიხსნა დალუქული კონვერტები. ორივე პრეტენდენტმა წინადადება წარმოადგინა ღირებულებით 35000.00 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

ფასის გამოცხადების შემდგომ საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს "საქპროექტარქიტექტურა"-სა და შპს ,,NEWARCHSTUDIO"-ს საკონკურსო წინადადებები. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სხდომაზე კომისიის წევრმა ი. ლომიძემ განაცხადა, რომ კონკურსანტმა, შპს „NEWARCHSTUDIO"-მ წარმოდგენილი პროექტის სრულყოფილად შეფასებისთვის, დამატებით უნდა წარმოადგინოს, სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალების სპეციფიკაციები.

დაადგინეს:

1. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს მოამზადოს და გაუგზავნოს წერილი შპს "NEWARCHSTUDIO"-ს, რათა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული დაზუსტებული ინფორმაცია რისთვისაც განესაზღვროს 2 (ორი) სამუშაო დღე.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს პრეტენდენტისათვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების გაგზავნა.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე (არ ესწრებოდა)

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ლომიძე

საკონკურსო აპარატის კომისიის წევრი - გ. შაშვიაშვილი

სხდომის მდივანი - ე. ხარაიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2014 წლის 30 სექტემბერი

საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის ყველა წევრი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ახალციხის რეგიონული არქივის არსებული შენობის კაპიტალური სამუშაოებისა და ახალი საარქივე შენობის მოწყობისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ჩატარებულ კონკურსზე (უ.კ.1334) მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ლომიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე (არ ესწრებოდა)

საკონკურსო კომისიის
აპარატის წევრი - გ.შაშვიაშვილი

სხდომის მდივანი - ე. ხარაიშვილი